

Nino Naskidashvili

ნინო ნასკიდაშვილი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Fragments from the History of Ukrainian Literature in Emigration –

Yurii Lavrinenko’s “*The Executed Renaissance*”

**ფრაგმენტები უკრაინული ლიტერატურის ისტორიიდან ემიგრაციაში –
იური ლავრინენკოს „დაცხრილული აღორძინება“**

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10857>

Yurii Lavrinenko’s intellectual legacy encompasses more than 300 scholarly and journalistic works. The culmination of his career was the anthology *The Executed Renaissance*, the publication of which unveiled the concealed “literary crime” that claimed the lives of the majority of Ukrainian Soviet writers during the 1930s. The rehabilitation of writers labeled as “terrorists” in the 1950s and the subsequent publication of their “selected works” did little to challenge the official Soviet narrative. Only the release of the 1959 Paris anthology – featuring the writings of executed, “re-educated,” and forcibly disappeared Ukrainian authors – exposed the real cause of their persecution under Stalin’s regime. This edition is unique and remains to this day the most important source of the history of Ukrainian literature of the twentieth century.

Keywords: *Yurii Lavrinenko, Ukrainian literature, émigré literature, anthology*

საკვანძო სიტყვები: *იური ლავრინენკო, უკრაინული ლიტერატურა, ემიგრაცია, ანთოლოგია, საბჭოთა ტერორი, რეპრესიები*

ემიგრაციაში მყოფი მწერლების შემოქმედება მეოცე საუკუნის უკრაინული ლიტერატურის ისტორიის განუყოფელი ნაწილია. პოლიტიკური რეპრესიების შედეგად ქვეყნიდან იძულებით წასული ემიგრანტი მწერლების შემოქმედებაში დაუფარავადა ასახული უკრაინაში მიმდინარე მოვლენები, საბჭოთა უკრაინაში შეზღუდული სიტყვის თავისუფლება. აღნიშნული პროცესები ევროპული ლიტერატურის პარალელულად და მის წიაღში ვითარდება. უკრაინული ლიტერატურის ემიგრანტული ვექტორი კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელმაც შეინარჩუნა ეროვნული და ევროპული იდენტობის კონტურები.

ამ ეპოქაში შექმნილი უკრაინული მწერლების ნაწარმოებების უმრავლესობა აკრძალული და განადგურებული იყო, ოთხმოცდაათიანი წლების ბოლომდე თითქმის შეუძლებელი იყო მასზე წვდომა, შესაბამისად, უკრაინული ლიტერატურის ეს პერიოდი ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში მხოლოდ ერთი, „დაიდაი საბჭოთა პოეტების“, „ერთიანი ოჯახის გრძნობის“ პათოსით შეისწავლებოდა. სტატიის მიზანია ემიგრაციაში შედგენილი უკრაინული ლიტერატურის ანთოლოგიის „დაცხრილული აღორძინების“ სტრუქტურულ-შინაარსობრივი, თემატური მიმოხილვა ნაციონალური და ემიგრაციული ლიტერატურული პროცესის განვითარების თვალსაზრისით. კვლევისთვის გამოყენებულია შინაარსისა და დისკურსის ანალიზის მეთოდები.

„უკრაინული ემიგრაციის ლიტერატურის, როგორც ისტორიული და კულტურული ფენომენის, შესწავლის დასაწყისი დაემთხვა ჰუმანიტარული და შემოქმედებითი პარადიგმების ცვლილებებს: ამას ხელი შეუწყო არქივების გახსნამ, ტოტალიტარული ცენზურის მიერ „ამოჭრილი“ და აკრძალული სახელებისა და ტექსტების ხელახლა დაბეჭდვამ და მათ სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცეში დანერგვამ“ (Василенко, 2024, გვ. 10).

მკაცრი რეპრესიების ტალღა, ფაქტობრივად, უკრაინაში ეროვნული მხატვრული კულტურის ყველა სფეროს შეეხო. კიევის „ნეოკლასიკოსების“ ჯგუფის ხელმძღვანელის, მიკოლა ზეროვის, ტრაგიკული ბედი, მ. ბოიჩუკის, მ. კულიშის, ლ. კურბასის „ბურჟუაზიული ნაციონალიზმისთვის“ გასამართლება, მ. ხვილოვის ხელმძღვანელობით „ვაპლიტეს“ (პროლეტარული ლიტერატურის თავისუფალი აკადემიის) სოციალისტური ხელოვნების მტრად გამოცხადება, გამოჩენილი უკრაინელი მწერლის, ვ. ვინიჩენკოს შემოქმედების ათწლიანი აკრძალვა ა.შ. ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ ადამიანების უზარმაზარი სიიდან, რომლებიც მოგვიანებით „ხალხის მტრის“ იარლიყით სიკვდილით დასაჯეს.

სოცრეალიზმის ჩარჩოში მოქცეული საბჭოთა პერიოდის უკრაინული ლიტერატურა ზუსტად იმეორებდა სამყაროსა და ადამიანის სოციალისტურ ესთეტიკას.

„სოცრეალიზმის პერიოდის უკრაინული ლიტერატურა უიმედოდ მონოქრონული იქნებოდა, რომ არა „დაცხრილული აღორძინების მწერლები“, რომლებიც რეპრესიების ტალღაში მიქცეულებიც კი აგრძელებდნენ წერას 1932-1934 წლებში, ზოგიერთი მათგანი 1937 წლამდეც კი. მათ მოასწრეს არამარტო დასრულება საკუთარი ნაწარმოებებისა, არამედ გამოცემა“ (Ковалив, 2020, გვ. 74).

1954 წლის 6 ივნისს ნიუ-იორკში შეიქმნა ემიგრაციაში მყოფი უკრაინელ მწერლების გაერთიანება. გაერთიანების ერთ-ერთ თანადამფუძნებელი იყო იური ლავრინენკო, ცნობილი უკრაინელი ლიტერატურათმცოდნე, პუბლიცისტი, ესეისტი, კრიტიკოსი, რედაქტორი და მკვლევარი, რომელმაც 1959 წელს პარიზის „კულტურის“ ბიბლიოთეკაში იერჟი გიედროიცის ინიციატივითა და ხარჯებით გამოსცა 1917-1933 წლების უკრაინული ლიტერატურის ანთოლოგია „დაცხრილული აღორძინება“. თავად მეტაფორა „დაცხრილული აღორძინება“ იერჟი გიედროიცს ეკუთვნის. ეს ტერმინი მეცნატმა იური ლავრინენკოსადმი მიწერილ წერილში ახსენა პირველად და უკრაინული ლიტერატურის ანთოლოგიის სათაურად შესთავაზა, რომელიც ლავრინენკომ გიედროიცის თხოვნით მოამზადა. ეს გამოცემა უნიკალურია და დღემდე რჩება მეოცე საუკუნის უკრაინული ლიტერატურის ისტორიის უმნიშვნელოვანეს წყაროდ.

„დაცხრილული აღორძინების“ ანთოლოგიის მომზადება 18 თვე გაგრძელდა, შემდგენელს ეხმარებოდნენ ლიტერატურათმცოდნეები და ლინგვისტები – ი. შეველიოვი (შერეხი), ლ. ლიმანი, ი. კოშელივეცი, პოლიტოლოგი გ. კოსტიუკი და სხვები. წიგნში შესულია უკრაინის სსრ-ში 1933 წლამდე გამოქვეყნებული ტექსტები, რომლებიც მოგვიანებით აიკრძალა.

ლავრინენკოს შემოქმედებითი მემკვიდრეობა 300-ზე მეტ სამეცნიერო და პუბლიცისტურ ნაშრომს მოიცავს. მისი შემოქმედების კულმინაცია იყო ანთოლოგია „დაცხრილული აღორძინება“, წიგნის გამოცემამ ფარდა ახადა „ლიტერატურული დანაშაულის“ იმ საიდუმლოს, რომელმაც 1930-იანი წლების უკრაინელი საბჭოთა მწერლების უდიდესი ნაწილი შეეწირა. აღნიშნული პერიოდი უკრაინულ ლიტერატურაში მოიაზრება ტრაგიკულ და ამავდროულად ძალიან საინტერესო პერიოდად.

„ტერორისტებად“ წოდებული მწერლების 1950-იანი წლების რეაბილიტაციამ და მათი „რჩეული ნაწარმოებების“ გამოქვეყნებამ თითქმის არაფერი შეცვალა, მხოლოდ 1959 წელს, პარიზში გამოცემულმა დახვრეტილთა, „ხელახლა აღზრდილთა“ და უგზო-უკვლოდ დაკარგული უკრაინელი მწერლების ნაწარმოებების ანთოლოგიამ გაამჟღავნა მათი მთავარი დანაშაული სტალინური რეჟიმის წინაშე.

ანთოლოგიის სათაური უკრაინული ლიტერატურის იმ პერიოდის მწერლების ზოგად სახელწოდებადაც იქცა, რომლებიც რეპრესირებს ვერ გადაურჩნენ, ან სასწაულებრივად გადაურჩნენ, თუმცა რადიკალურად შეცვალეს წერის სტილი, მანერა და საბჭოთა მწერლებად იქცნენ. „დაცხრილულ ავტორებში“ იური ლავრინენკო არ გულისხმობს მხოლოდ ფიზიკურად განადგურებულ

უკრაინელ პოეტებსა და მწერლებს, ანთოლოგიაში ისეთი მწერლების ნაწარმოებებიც შევიდა, ფიზიკურად ვინც გადარჩნენ, მაგრამ გადაიქცნენ პარტიის სახოტბო პოეტებად. ეს წიგნი იმ ეპოქის საუკეთესო ნამუშევრების კრებულია, რომელიც მწერლების პატივისა და ღირსების შენარჩუნების სურვილს ასახავს, რაც, სავარაუდოდ, სტალინური რეჟიმის მიერ მათი ფიზიკური და სულიერი ლიკვიდაციის მთავარი მიზეზი გახდა. უკრაინული მწერლობის ემიგრაციულმა ანთოლოგიამ განსაკუთრებული როლი ითამაშა ეროვნული ლიტერატურული მეხსიერების შენარჩუნებასა და აღდგენაში.

წიგნში შესულია საბჭოთა უკრაინაში 1933 წლამდე გამოცემული ნაწარმოებები, რომლებიც მოგვიანებით აიკრძალა და, შემდგენელის თქმით, „მოსკოვის მიერ უკრაინის დამარცხებისა და კოლონიური პროვინციალიზაციის ახალი კურსის შედეგად განადგურდა“ ი. ლავრინენკომ შესავალი „შემდგენელისგან“ გამომცემლებისადმი მადლიერებით დაიწყო: „ამ ანთოლოგიის გამოცემას გამომცემლობა „ულტურას“ ვუმაღლი (Лавріненко, 2007, გვ. 9).

„ჩვენი პრინციპი იყო, მოგვეწოდებინა მხოლოდ ის, რაც 1933 წელს მოსკოვის მიერ უკრაინაში ყოველდღიური ცხვრებიდან გააქრეს...ნათელია, რომ ერთ წიგნში არ შეიძლება შევიდეს ყველაფერი, რაც აკრძალულია და ანთოლოგიაში მხოლოდ მისი რაოდენობრივად მცირე ნაწილი მოხვდა“ (Лавріненко, 2007, გვ. 9).

როგორც თანამედროვე უკრაინელი მკვლევარი, ოლენა ჰალეტა, აღნიშნავს, „მიუხედავად იმისა, რომ „დაცხრილული აღორძინება“ კლასიკური ოქსიმორონი არ არის, ზოგადი ასოციაციური ველი ზუსტად ოქსიმორონული პრინციპის მიხედვით არის ჩამოყალიბებული. „როგორც კომუნიკაციური გზავნილი, ანთოლოგიის სათაური პარადოქსს არ შეიცავს: ის გადმოსცემს ინფორმაციას უკრაინული კულტურის აღზევებისა და დაცემის თანმიმდევრული პროცესის შესახებ 1920-იან და 1930-იან წლებში. თუმცა, თავად აღქმის პროცესი საპირისპირო წესით მიმდინარეობს: სათაურის პირველი სიტყვა სიკვდილის მნიშვნელობის აქტუალიზაციას ახდენს, მეორე – სიცოცხლის აზრის“ (Галета, 2015).

საბჭოთა ლიტერატურა ნამდვილად არ განიცდიდა ანთოლოგიების სიმცირეს, პირიქით, ორმოცდაათიანი წლებიდან დაიწყო ე. წ. „ანთოლოგიზაციის“ მთელი ტალღა: 1948 წელს გამოვიდა „უკრაინული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია“ (შემდგენელი ევჰენ ადელჰეიმი), ოდნავ მოგვიანებით ცნობილი უკრაინელი მწერლის, მიკოლა ბაჟანის („ვეფხისტყაოსნის“ უკრაინულად მთარგმნელი) რედაქტორობით, 1951 წელს გამოიცა „უკრაინული საბჭოთა პოეზია. ანთოლოგია“ და „უკრაინული საბჭოთა ნოველა“ სარედაქციო კოლეგიაში შედიოდა ოლეგ გონჩარი, ხოლო 1957 წელს მაქსიმ რილსკისა და მიკოლა ნაჰნიბიდას რედაქტორობით გამოიცა „საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია“ და სხვ.

სოციალისტურმა რეალიზმმა, რომელიც საბჭოთა კავშირში ერთადერთი, ოფიციალურად ნებადართული „შემოქმედებითი მეთოდი“ გახდა ლიტერატურასა და ხელოვნებაში, გარკვეული გავლენა მოახდინა უკრაინელი მწერლებისა და პოეტების შემოქმედებაზე. ფიზიკური განადგურების შიშით გამოწვეული ინდუსტრიალიზმისა და კოლექტივიზაციის მქადაგებელ პოეტთა რიცხვს შეუერთა „დაცხრილულ მწერალთა“ შორის ფიზიკურად გადარჩენილი პავლო ტიჩინაც, ლექსით „პარტია მიგვიძღვის“. იგი 1933 წელს დაიწერა როგორც პიონერული მარში, მაღევე დაიბეჭდა გაზეთში „პრავდა“ და საბჭოთა ლიტერატურის ქრესტომათიულ სიმბოლოდ იქცა. მაქსიმ რილსკის ლექსი „სიმღერა სტალინზე“, (მოგვიანებით, პავლო ტიჩინაც წერს ლექსს ანალოგიური სათაურით) სტალინისადმი მიძღვნილ სხვა ლექსებთან ერთად დაიბეჭდა ანთოლოგიაში, სახელწოდებით „დიად სტალინს“. ამავე ანთოლოგიაში შევიდა მაქსიმ რილსკის ლექსი „ჩემი სამშობლო“, სადაც პოეტის წერს, რომ მისი სამშობლო ჩაქუჩის დარტყმა და დაულაღავი ტრაქტორისტის საქე. ამ თემებს ეძღვნებოდა ასევე მაქსიმ რილსკის, მიკოლა ბაჟანის, პავლო ტიჩინას, ოლეს გონჩარის, ანდრი მალიშკოს, ოლექსანდ ოლიინიკის, ვოლოდიმირ სოსიურასა და სხვა უკრაინელი პოეტების ლექსები.

აღნიშნული ანთოლოგიის გამოცემიდან ძალიან მალე პარიზში იბეჭდება იური ლავრინენკოს ანთოლოგია, რომელიც სრულიად საპირისპირო, რადიკალურად სხვა კუთხით წარმოაჩენს

პავლო ტიჩინას („მზის კლარნეტები“, „სონეტებისა და ოქტავების ნაცვლად“ „ქარი უკრაინიდან“), მაქსიმ რილსკის „ლურჯი სიშორე“, „მეცამეტე გაზაფხული“ და სხვა.

იური ლავრინენკოს ანთოლოგიაში შესული ავტორების სახელები უცნობი არ იყო საბჭოთა მკითხველისთვის (სხვა საკითხია თავად ნაწარმოებები, რომელთა დაბეჭდვაც აკრძალული იყო იმ პერიოდის საბჭოთა უკრაინაში და აგრეთვე ცალკეული ბიოგრაფიული ფაქტები). უკრაინელი მკვლევრის, ოლენა ჰალეტას აზრით, „ანთოლოგიის წონა არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელებისა და ნაწარმოებების რაოდენობით – ის, პირველ რიგში, სტილის ერთიან ფენომენს ეხება, რომელიც კონკრეტულ ისტორიულ კონტექსტში ჩნდება... ლავრინენკო თავის ანთოლოგიაში არა მხოლოდ აღწერს (ან წარმოგვიდგენს) გარკვეულ ლიტერატურულ ფენომენს, არამედ განმარტავს კიდევ მას მეტაფორის მთავარი პრინციპის გამოყენებით“ (Галета, 2015).

1920-1930 წლების უკრაინელი მწერალთა თაობას სხვაგვარად „წითელ რენესანსსაც“ უწოდებენ. ამ თაობის ბევრი წარმომადგენელი შეეწირა საბჭოთა ტოტალიტარულ რეჟიმს. 1937-1938 წლების ტერორის მსხვერპლთა რაოდენობა უკრაინაში 260 ათასს აღწევს. ბევრი მათგანი გადასახლეს და დახვრიტეს. უკრაინელ მწერალთა ტრაგიკული ბედს კიდევ უფრო ამძაფრებდა საბჭოთა უკრაინის მაშინდელ დედაქალაქში, ხარკოვში, სპეციალურად ლიტერატორებისა და კულტურის მოღვაწეებისათვის აშენებული საცხოვრებელი სახლის „სიტყვის“ მაცხოვრებელთა ბედი. სახლი „სიტყვა“ ძალიან სიმბოლურია იური ლავრინენკოს ანთოლოგიისთვის, რადგან იქ მცხოვრები ფაქტობრივად ყველა მწერლის ნაწარმოებებია წარმოდგენილი.

ხარკოვში მწერალთა სახლში „სიტყვა“ (*სახლს გარეგნულად ჰქონდა უკრაინული ანბანის ასოს, „ს“ ფორმა*) სამოცდაექვსი საცხოვრებელი ბინა იყო, სადაც უკრაინელი მწერლები ცხოვრობდნენ. სახლის აშენება და უკრაინელი ინტელიგენციის შესახლება სპეციალურ გეგმას ემსახურებოდა. იგი გულისხმობდა ინტელიგენციის მარტივად თვალთვალსა და „ხალხის მტრების“ შესახამისად დასჯას. სწორედ აღნიშნული სახლში მოიკლა თავი მიკოლა ხვილოვიმ, იქ დააპატიმრეს და მოგვიანებით დახვრიტეს მიხაილო იალოვი, ოსტაპ ვიშნია, დრამატურგი ლეს კურბასი და მასთან ერთად ერთ მიკოლა კულიში. აღნიშნული მწერლები იყვნენ 1925 წელს ხარკოვში შექმნილი ლიტერატურული გაერთიანების, „ვაპლიტეს“ (*პროლეტარული ლიტერატურის თავისუფალი აკადემიის*) წევრები, რომლის თავმჯდომარეც გახლდათ მიკოლა ხვილოვი. აღნიშნული ლიტერატურული გაერთიანება, ასევე ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი „ვაპლიტე“, ნაწილობრივ იზიარებდა კომუნისტური პარტიის ოფიციალურ მოთხოვნებს, თუმცა ლიტერატურული პოლიტიკის საკითხებში მას დამოუკიდებელი პოზიცია ჰქონდა, ცდილობდა თანამედროვე უკრაინული მწერლობის დასავლეთევროპული კულტურული განვითარების გზით წაყვანას. სწორედ „ვაპლიტეში“ დაიწყო 1925-1928 წლების ცნობილი ლიტერატურული დისკუსია, რომელშიც დამაჯერებლად ამტკიცებდა, რომ აუცილებელი იყო ეროვნული, სპეციფიკური უკრაინული ლიტერატურის განვითარება, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა ევროპაზე და არა რუსეთზე (*მიკოლა ხვილოვის ცნობილი პამფლეტი „უკრაინა თუ მალოროსია“*), უკრაინის კულტურული სუვერენიტეტისთვის ბრძოლის სიმბოლოდ იქნა საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში.

იური ლავრინენკოს ანთოლოგიაში „დაცხრილული აღორძინება“ შემავალი მწერლებისა და პოეტების შემოქმედებითი მემკვიდრეობა მოცულობით მცირეა, რადგან ბევრი ნაწარმოები აკრძალული იყო საბჭოთა პერიოდის უკრაინაში, განადგურდა, დაიწვა და მხოლოდ ნაწილის გადარჩენა მოხერხდა, თუმცა პარიზში გამოცემული უკრაინული ლიტერატურის აღნიშნული პერიოდის ნიმუშებმა, იური კოვალის აზრით, „შეინარჩუნა მხატვრული სიტყვის ენერგია, ექსპერიმენტული პათოსი, კულტურულ-პოეტური აზროვნება, რაც იშვიათი იყო 30-იანი წლების პოეზიაში, რომელშიც თანდათანობით გაქრა ლირიკა“ (Ковалів, 2020, გვ. 74).

იური ლავრინენკოს მიერ გამოცემული ფიზიკურად და მორალურად „დაცხრილული“ მწერლების შემოქმედება იყო მაღალმხატვრული, ინდივიდუალიზმით გამორჩეული, პოეტური შემოქმედება, რომელსაც უწევდა ბრძოლა ტოტალიტარულ რეჟიმთან სწორედ ინდივიდუალიზმის ჩახშობის, ფიზიკური და მორალური განადგურების ხარჯზე. „უკრაინული ლიტერატურა, რომელიც „დაცხრილული აღორძინების“ ექსპერიმენტული, შემოქმედებითი აღმავლობის შემდეგ, საბჭოთა

ლიტერატურად იქცა, დეკადანსისთვის იყო განწირული. იმიტირებული ჟანრებისა და ზოგადი ფორმების აშკარა მრავალფეროვნების პირობებში, მისი დამკვიდრება შეუძლებელი იყო იმანენტურ არსში, ვერ მოექცეოდა პოლიტიკურ-ლიტერატურული „სოცრეალიზმის“ ხელოვნურ ჩარჩოებში“ (Ковалів, 2020, გვ. 215).

ამგვარად, ემიგრაციაში მყოფი უკრაინელი ლიტერატორისა და კრიტიკოსის, იური ლავრინენკოს 1917-1933 წლების უკრაინული ლიტერატურის ანთოლოგია უაღრესად მნიშვნელოვანია უკრაინული ლიტერატურის აღნიშნული პერიოდის მწერლების შემოქმედების შესასწავლად. ევკენ სვერსტიუკის აზრით, ანთოლოგია რომ უკრაინაში გავრცელებულიყო სამოციანი წლების დასაწყისში, იმ პერიოდის ფორმალური რეაბილიტაციის პირობებში, აფეთქების ტოლფასი იქნებოდა „და მაშინ აღმოჩნდებოდა, რომ ყველა პრეზიდენტის დამსწრე „რევოლუციის მომდერალი“ პავლო ტიჩინაც მიეკუთვნება „დაცხრილულ აღორძინებას“, როგორც ყოფილი ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძლის მონაწილე, რომ მაქსიმ რილსკი და ვოლოდიმირ სოსიურა არ არიან ისეთი „საბჭოთა კავშირელები“, როგორადაც მათზე სახელმძღვანელოებში წერენ“ (Сверстюк, 2007, გვ. 957), რომ უკრაინული ლიტერატურული აღორძინება, რომელიც აქტიურ-შემოქმედებითი, ნოვატორულობით სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა საბჭოთა რეჟიმს. ეს წიგნი იმ ეპოქის საუკეთესო ნამუშევრების კრებულია, რომელიც მწერლების პატივისა და ღირსების შენარჩუნების სურვილს ასახავს, რაც, სავარაუდოდ, რეჟიმის მიერ მათი ფიზიკური და სულიერი ლიკვიდაციის მთავარი მიზეზი გახდა. უკრაინული ლიტერატურის ემიგრაციულმა ანთოლოგიამ განსაკუთრებული როლი ითამაშა ეროვნული ლიტერატურული მემკვიდრეების შენარჩუნებასა და აღდგენაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Василенко, В. (2024). Слід Антея. Українська еміграційна література другої половини ХХ століття: ідеї, тексти, постаті. Київ: Дух і Літера.
- Галета, О. (2015). Отримано з <https://www.historians.in.ua/index.php/en/ukrayinska-mova/1622-olena-haletta-rozstriliane-vidrozhennia-vid-istorii-metafory-do-metafory-istorii>.,
- Ковалів, Ю. (2020). *Історія української літератури (кінець ХІХ – поч. ХХІ ст.). том сьомий, випробування репресіями і війною*. Київ: Видавничий центр «Академія».
- Лавріненко, Ю. (2007). Передмова. *Розстріляне відродження: антологія 19147-1933* (с. 717). Київ: Смолоскип.
- Сверстюк, Є. (2007). Про "Розстріляне відродження". Київ: Смолоскип.

References:

- Galeta, O. (2015). Retrieved from <https://www.historians.in.ua/index.php/en/ukrayinska-mova/1622-olena-haletta-rozstriliane-vidrozhennia-vid-istorii-metafory-do-metafory-istorii>.,
- Kovaliv, Yu. (2020). *Istoriya ukrayins'koyi literatury (kinets' XIX – poch. XXI st.). tom s'omyy, vyprobuvannya represiyamy i viynoyu* [History of Ukrainian Literature (late 19th – early 21st centuries). Volume Seven, Tests of Repression and War. Kyiv: Publishing Center "Academy"].
- Lavrinenko, Yu. (2007). *Peredmova. Rozstrilyane vidrozhenn: antoolohiya 19147-1933* (s. 717) [Foreword. in *The Executed Rebirth: Anthology 19147-1933* (p. 717). Kyiv: Smoloskyp].
- Sverstyuk, E. (2007). Sverstyuk, YE. (2007). *Pro "Rozstrilyane vidrozhennya"*. Kyiv: Smoloskyp [On the "Shooteed Renaissance". Kyiv: Smoloskyp].
- Vasylenko, V. (2024). *Slid Anteya. Ukayins'ka emihratsiyna literatura druhoyi polovyny XX stolittya: ideyi, teksty, postati. Antey's Footsteps. [Ukrainian Emigration Literature of the Second Half of the 20th Century: Ideas, Texts, Figures. Kyiv: Spirit and Letter].*